წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გასვლითი სხდომა

ოქმი N3

ქ. წყალტუბო, შპს ,,ჰერბია“ 9.08.2023 წ

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჯანელიძე, მდივანი მარინა ჭავჭანიძე, წევრები: ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, ნიკოლოზ გურეშიძე, მარიამ კუჭავა, დავით მესხი, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე; მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ფატი გაგოშიძე, ეკონომიკური განვითრებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მარეხ კანკაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ფანცხავა, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის სპეციალისტები მამუკა გელენიძე და კობა გოგიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და კულტურების შემოტანისა და ტურიზმის განვითარებისათვის შპს ,,ჰერბიას''პრაქტიკის შესახებ

ზ.ჯანელიძე - მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე,
შპს ,,ჰერბიას'' დირექტორი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ფ. გაგოშიძე - მერიის საფინანსო-
საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და კულტურების შემოტანისა და ტურიზმის განვითარებისათვის შპს ,,ჰერბიას'' პრაქტიკის შესახებ, მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის, შპს ,,ჰერბიას“ დირექტორის ზურაბ ჯანელიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმო 2001

წელს დაფუძნდა ,,იუსაიდის“ მხარდაჭერით და ფუნქციონირებდა, როგორც საკონსულტაციო ცენტრი, ხოლო 2006 წლიდან, სასათბურე მეურნეობის ბაზაზე, იტალიის, ისრაელის, პოლონეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, აშშ-სა და სხვათა გამოცდილების გაზიარებით დაიწყო ადგილობრივ კლიმატთან შეთავსებადი ჯიშების ბოსტნეულის შემოტანა. პროდუქციის მოსაყვანად სასუქის ნაცვლად გამოყენებულ იქნა გერმანიიდან შემოტანილი, ბალტიის ზღვიდან გადამუშავებული შლამი, ბოსტნეულის მზის სხივებისაგან დასაცავად გამოყენებულია ისრაელის მეთოდი, მოსარწყავად გამოყენებულია წვეთოვანი სისტემა, ელექტროენერგიის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია მზის ენერგიის გამოყენებით; წლის განმავლობაში იწარმოება 2500 ტონა პროდუქცია, რომლის მოყვანის, ტრანსპორტირებისა და გასაღებისათვის დასაქმებულია 500 კაცი, მომხმარებელთა რაოდენობა კი 50 000-ს აღწევს, ხელფასების რაოდენობა 1500-5000 ლარის ფარგლებშია.

სათანადო ყურადღება ექცევა აგროტურიზმის განვითარებას. დამთვალიერებელს საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს ადგილზე მოყვანილი და ადგილობრივ მარანში დამზადებულ ღვინის ტურში, კულინარიულ ტურში, ეთნო ტურში; საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ექსპონატების საშუალებით გაეცნოს საუკუნეების განმავლობაში იმერეთის გლეხის ყოფა-ცხოვრებას; ღამე გაათიოს როგორც თანამედროვე სასტუმროში, ასევე აქვე განთავსებულ, ძველთაძველ იმერულ ოდებში.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ფატი გაგოშიძემ, ლალი გრიგოლავამ, მანანა ჩიხლაძემ, ნიკოლოზ გურეშიძემ, გენადი ბალანჩივაძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, შპს ,,ჰერბიას“ დირექტორის, მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ჯანელიძის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ, მერიის საფინაანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 22427,6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23039,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102,7%

გადასახდელების დაფინანსებამ შეადგინა 20483,5 ათასი ლარი, რაც 3391,2 ათასი ლარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით; მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსდა 2850,0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარება - 11316,3 ათასი ლარით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 360,8 ათასი ლარით, დასუფთავება და გარემოს დაცვა - 871,3 ათასი ლარით განათლება - 2157,2 ათასი ლარით; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 933,1 ათასი ლარით, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1415,4 ათასი ლარით.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მარინა ჭავჭანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გოგებაშვილის ქუჩის №1 კორპუსზე, სადარბაზოებს შორის არსებული საწვიმარის ღარები (ე. წ. ჟოლოფები) განთავსებულია მხოლოდ მეორე სართულამდე, რაც იწვევს პირველ სართულზე განთავსებულ ბინებზე წვიმის წყლის ნაკადის მიშვებას და მათ დაზიანებას. სასურველია აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხები;

ედიშერ გედენიძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპისა და ქვეყნის ტურნირებში წყალტუბოელი სპორტსმენების წარმატებულ გამოსვლებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია შესაბამისი სპორტის სასახლის მშენებლობისათვის ზრუნვა.

ზურაბ ჯანელიძემ, რომელმაც აღნიშნა, შპს ,,ჰერბიას“ მიმდებარედ ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ და დააყენა საკითხი დაზიანებული ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგების დაჩქარების შესახებ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ, მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინაშე რეკომენდაციის სახით დაისვას შემდეგი საკითხები:

   ა) გოგებაშვილის ქუჩის №1 კორპუსზე, სადარბაზოებს შორის არასტანდარტული საწვიმარი ღარებიდან პირველ სართულზე არსებული ბინების დაზიანების აღმოსაფხვრელად გაატაროს შესაბამისი ღონიძიება.

ბ) ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპისა და ქვეყნის ტურნირებში წყალტუბოელი სპორტსმენების წარმატებების გათვალისწინებით იზრუნოს სპორტის სასახლის ასაშენებლად.

გ) შპს ,,ჰერბიას" მიმდებარედ ანტისანიტარული მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით, შესაბამის ორგანიზაციებთან ურთერთობით, მიაღწიოს დაზიანებული ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის ოპერატიულად მოწესრიგებას.

დასასრულს, სხდომის მონაწილეები, სათბურებში, სამაცივრე და სხვა სამეურნეო ობიექტებში გაეცვნენ ბოსტნეულის მოყვანის, დაფასოებისა და მომხმარებლებთან გაგზავნის სადღეღამისო ციკლს; დაათვალიერეს ღია ცის ქვეშ მშენებარე სამუზეუმო ნაგებობები და მიმდებარე სოფლებში მოძიებული მრავალფეროვანი უძველესი ექსპონატები

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე